

## სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №396

ქ. ზუგდიდი

27 სექტემბერი, 2019 წელი.

ერთი მხრივ, **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია**, წარმოდგენილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის გიორგი შენგელიას სახით (შემდგომში - შემსყიდველი),

მისამართი: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90  
საიდენტიფიკაციო კოდი: №220418956  
ტელეფონის ნომერი: +995 (0415) 25 01 23  
საბანკო რეკვიზიტები: მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა  
ბანკის კოდი: TRESGE22  
ანგარიშის ნომერი: GE24NB0330100200165022

და მეორე მხრივ, **ინდივიდუალური მეწარმე „ელდარ ფიფია“**, წარმოდგენილი ინდ. მეწარმის ელდარ ფიფიას სახით (შემდგომში - მომწოდებელი),

მისამართი: ზუგდიდი, თაბუკაშვილის მე-II ჩიხი №2  
საიდენტიფიკაციო კოდი: №19001027517  
ტელეფონის ნომერი: +995 568-51-02-71  
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“  
ბანკის კოდი: BAGAGE22  
ანგარიშის ნომერი: GE22BG000000902395100

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10<sup>1</sup> მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 იანვრის №112 განკარგულების საფუძველზე, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №45 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის №208 განკარგულების თანახმად, ვდებთ ამ ხელშეკრულებას (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

### მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და შესაბამისი CPV კოდი

- ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში“ მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვრის №45 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 8 თებერვლის №208 განკარგულების თანახმად, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან, **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოფაჩხაფუს ადმინისტრაციულ ერთეულში, წმ. ნინოს ქუჩაზე ხიდ-ბოგირის მოწყობის სამუშაოები** (შემდგომში - სამუშაო).
- ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: (45200000 - მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები).

### მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

- ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **7378,58 (შვიდი ათას სამოცდათვრამეტი ლარი და 58 თეთრი)** ლარს, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

### მუხლი 3. სამუშაოს შესრულების ვადა

- მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 (ორმოცი) კალენდარული დღის ვადაში.
- მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები დაიწყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში.
- მიმწოდებელი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულებაზე თანდართული, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული ფორმით წარდგენილი, სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.

### მუხლი 4. ანგარიშსწორების წესი

- ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაადლო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

2. მიმწოდებლის წერილობითი მომართვის საფუძველზე, ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველ 30 კალენდარულ დღეში არაუმეტეს ორჯერ, შუალედურად შესრულებული სამუშაოების ღირებულების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების დადასტურებიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
3. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა (საკუთარი ხარჯებით) უნდა უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ექსპერტიზის ჩატარება და ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენა (ექსპერტიზის დასკვნა გაცემული უნდა იყოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული ან საქართველოს კანონმდებლობითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით მინიჭებული, შესაბამისი საქმიანობის უფლების მქონე პირის მიერ). იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტიზის დასკვნის გამცემი არ იქნება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს ექსპერტიზის განმარტებული პირის შესაბამისი აკრედიტაციის სერტიფიკატი ან/და ლიცენზია. საექსპერტო მომსახურების შესრულების ვადები არ იქნება დაკავშირებული სამუშაოების შესრულების ვადებთან, ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარდგენა უნდა მოხდეს სამუშაოების დასრულებიდან არაუგვიანეს 45 (ორმოცდახუთი) სამუშაო დღის ვადაში.

**მუხლი 5. წინასწარი ანგარიშსწორების პირობები**

1. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა წინასწარი ანგარიშსწორების თანხის (შემდგომში - ავანსი) გადახდის თაობაზე.
2. მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა ავანსის გადახდის თაობაზე, თუ იგი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა ან/და ყადაღა. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები (განახლებული ინფორმაცია საგადასახადო გირავნობისა ან/და ყადაღის თაობაზე), რომლითაც დასტურდება მის მიმართ ამ პუნქტში განსაზღვრული ვალდებულებების რეგისტრაციის არარსებობა.
3. შემსყიდველის მიერ ავანსის გადახდასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს სსიპ - საქართველოს ეროვნული ბანკის ან სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ან სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ გაცემული, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია, რომლის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების დასრულების ვადას.
4. ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია თავისი შინაარსით უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე მიიღოს შესაბამისი თანხა.
5. მიმწოდებლისთვის გადასახდელი ავანსი ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 20 %-ს.
6. მიმწოდებელი ვალდებულია ავანსი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.
7. ავანსის გაქვითვა მოხდება პროპორციულად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულების იმ პროცენტის ოდენობით, რა პროცენტული ოდენობითაც გაიცა ავანსი. ეტაპობრივი ანგარიშსწორების შემთხვევაში, ანგარიშსწორების ბოლო ეტაპზე წინასწარ გადახდილი თანხის გაქვითვა მოხდება იმ მოცულობით, რა მოცულობაც საჭიროა ავანსის სრულყოფილად გასაქვითად.
8. ავანსის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ.

**მუხლი 6. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა**

1. შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) წელს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული, შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.

**მუხლი 7. სამუშაოს შესაბამისობა**

1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული სამუშაო მიმწოდებლის მიერ უნდა შესრულდეს ჯეროვნად, სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის, ტექნიკური დავალების, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო და გარემოსდაცვითი (არსებობის შემთხვევაში) ნორმებისა და წესების და შემსყიდველის მოთხოვნების შესაბამისად.
2. ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული წესებიდან და ნორმებიდან მიმწოდებლის მხრიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, არ მიიღოს სამუშაო ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.
3. სამუშაოები უნდა იყოს შესრულებული საქართველოში მოქმედი ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების მოთხოვნების შესაბამისად, სამუშაოს შესრულების პროცესში ყველა გამოყენებული მასალა და მოწყობილობა უნდა იყოს ხარისხიანი და აკმაყოფილებდეს პროექტის მოთხოვნებს და საქართველოში მოქმედ ყველა სამშენებლო ნორმასა და სტანდარტს. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს გამოყენებული მასალების ხარისხის დამადასტურებელი სერტიფიკატების (მოქმედების ვადის მქონე), შესრულებული სამუშაოების და გამოყენებული მასალების ხარისხის დამადასტურებელი ლაბორატორიული კვლევის (აკრედიტირებული ლაბორატორიების მიერ გაცემული) შედეგების/დასკვნების (ლაბორატორიული კვლევების ხარჯებს იხდის მიმწოდებელი) წარმოდგენა და მათი მიკვლევა. სერტიფიკატების

უცხო ენაზე წარდგენის შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე.

### **მუხლი 8. სამუშაოს მიღება-ჩაბარების წესი**

1. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველისათვის შესრულებული სამუშაოების წარდგენა განახორციელოს ეტაპობრივად, ხელშეკრულების გაფორმებიდან ყოველ 30 კალენდარულ დღეში არაუმეტეს ორჯერ.
2. მიმწოდებლის მიერ წარდგენილი შესრულებული სამუშაოები მიღებულად ჩაითვლება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტების დადასტურებიდან და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
3. ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი, მიმდინარე და შესრულებული სამუშაოების შემოწმებას ახორციელებს შემსყიდველის შესაბამისი სამსახური ან მის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი/სპეციალური კომისია, რომელიც ადგილზე ამოწმებს ხელშეკრულებით განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად შესრულებულ სამუშაოთა მოცულობას და ხარისხს.

### **მუხლი 9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

1. მიმწოდებელი ვალდებულია:
  - ა) უზრუნველყოს სამუშაოს დაწყება ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში (მოთხოვნის შესაბამისად);
  - ბ) სამუშაოს შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ხელშეკრულების მე-7 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;
  - გ) სამუშაო განახორციელოს ხელშეკრულების მე-3 მუხლში განსაზღვრულ ვადაში და პირობებით;
  - დ) სამუშაოები განახორციელოს ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად;
  - ე) შემსყიდველთან შეთანხმდეს სამუშაოების განხორციელებისას გამოსაყენებელი მასალ(ებ)ის იერსახე და ხარისხი;
  - ვ) სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე სამშენებლო მოედანზე გადამოწმოს საპროექტო ნიშნულები, ასევე, საპროექტო ნახაზებში მითითებული ზომები და ნებისმიერი უზუსტობა აცნობოს შემსყიდველს;
  - ზ) შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოს სამუშაო მოედნის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემით აღჭურვა.
  - თ) იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება, რომ მიმწოდებლის მიერ დაგეგმილი სამუშაოებიდან რომელიმე კონკრეტული სამუშაოს განხორციელებისათვის მიმწოდებელს არ აქვს მოპოვებული საჭირო დოკუმენტაცია ან ნებართვა, მიმწოდებელი ვალდებულია, სათანადო დოკუმენტაციის ან ნებართვის მოპოვებამდე შეაჩეროს აღნიშნული სამუშაოს განხორციელება და დაუყოვნებლივ გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები მათ მოსაპოვებლად;
  - ი) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად და ხელშეკრულების მე-6 მუხლით განსაზღვრული წესით გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა;
  - კ) შემსყიდველს უმოკლეს ვადაში აცნობოს მისი მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;
  - ლ) დაიცვას შემსყიდველის მიერ მისთვის გადაცემული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნისა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მოთხოვნები და პირობები (მათი არსებობის შემთხვევაში).
2. შემსყიდველი ვალდებულია:
  - ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.
3. შემსყიდველი უფლებამოსილია:
  - ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
  - ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლიანი შესრულებული სამუშაო.

### **მუხლი 10. კონტროლი (ინსპექტირება)**

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, შესრულებული სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების დაცვის კონტროლს (ინსპექტირება) ახორციელებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის სამშენებლო ინსპექტირების განყოფილება და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი ოფიციის ადმინისტრაციულ ერთეულში.
2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, შემსყიდველი უფლებამოსილია, განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება).
3. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
4. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა და კონტროლის (ინსპექტირების) ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

5. სამუშაოს განხორციელების პროცესში, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელ პირთა მიერ გაცემული, როგორც ზეპირი, ასევე, წერილობითი რეკომენდაციების და მითითებების შესრულება.
6. სამუშაოების მიმდინარეობაზე შემსყიდველი ან/და ზედამხედველი კონტროლს (ინსპექტირებას) აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის, საპროექტო დოკუმენტაციის, სპეციფიკაციების, ტექნიკური დავალებისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, შეაჩეროს სამუშაოების მიმდინარეობა და განახორციელოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.
7. ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში შემსყიდველის, მიმწოდებლისა და ხელშეკრულების კონტროლის (ინსპექტირება) მიზნით შერჩეული სხვა პირ(ებ)ის მონაწილეობით ფორმდება შესაბამისი აქტი, სადაც დეტალურად აღიწერება ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზ(ებ)ი, რის შემდგომაც შემსყიდველი უფლებამოსილია, იმოქმედოს ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლებამოსილების თანახმად. თუ მიმწოდებლის წარმომადგენელი უარს აცხადებს ამ პუნქტში აღნიშნული აქტის შედგენაში მონაწილეობაზე, ხსენებული ფიქსირდება ამავე აქტში და იგი იწვევს იმავე სამართლებრივ შედეგებს, რასაც გამოიწვევდა მიმწოდებლის წარმომადგენლის მონაწილეობით შედგენილი აქტი. სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, თავისი სახსრებით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას დეფექტ(ებ)ი. სამუშაოების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს არ უნაზღაურდება დეფექტ(ებ)ით შესრულებული სამუშაოების ღირებულება.
8. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მხრიდან შესრულებულ სამუშაოთა შემსყიდველისთვის წარდგენილი მოცულობები შემსყიდველის მიერ გადამოწმების შემთხვევაში არ შეესაბამება რეალობას, შემსყიდველი ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული აქტის შედგენის შემდეგ არ უნაზღაურებს მიმწოდებელს აღნიშნულ სამუშაოთა ღირებულებას და განიხილავს მიმწოდებლის პასუხისმგებლობის საკითხს ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 11. ფორს-მაჟორი**

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).
2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

**მუხლი 12. პასუხისმგებლობა**

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისა) შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია, მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 5% ასეთი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული ვალდებულების დაუყოვნებლივ გამოსწორება.
2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.
3. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო მიმწოდებლისთვის ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
4. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაკვითვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.
6. მიმწოდებლის მიერ ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, შემსყიდველისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

- შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის გადაცემული გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნითა და გარემოსდაცვითი მართვის გეგმის მოთხოვნებითა და პირობებით (მათი არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.
- მიმწოდებელს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის შემთხვევაში წარმოშობილ ზიანზე.

**მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა**

- ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად (გარდა მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისა) შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.
- ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.
- შემსყიდველი უფლებამოსილია, ვადაძვე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება თუ:
  - მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას/ვალდებულებებს;
  - მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);
  - მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულები გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;
  - მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;
  - მიმწოდებელმა განმეორებით დაარღვია ხელშეკრულებაზე თანდართული სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი;
  - მიმწოდებლის მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გეგმა-გრაფიკის დარღვევის გამო მიმწოდებლისთვის ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს;
  - ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;
  - ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი სამუშაო სრულად გადასცა ქვეკონტრაქტორს;
  - საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

**მუხლი 14. უფლებების გადაცემა**

- ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
- ხელშეკრულების ფარგლებში მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

**მუხლი 15. ქვეკონტრაქტორ(ებ)ი და მიმწოდებლის პერსონალი**

- დაუშვებელია ქვეკონტრაქტორ(ებ)ს შესასრულებლად გადაეცეს შესასრულებელი სამუშაოების ჯამური მოცულობის 40%-ზე მეტი;
- ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს ნაწილის ქვეკონტრაქტორ(ებ)ზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ისგან და აღნიშნული სამუშაოების შესრულებაზე შემყიდველთან პასუხისმგებელია მიმწოდებელი.
- მიმწოდებელი ვალდებულია წერილობით აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულების ფარგლებში, ქვეკონტრაქტორ(ებ)თან ხელშეკრულებ(ებ)ის დადების თაობაზე და მიიღოს მისგან წერილობითი თანხმობა აღნიშნულზე. ამ მიზნით, შემსყიდველს წარედგინება ქვეკონტრაქტორ(ებ)ის მიერ შესასრულებელი სამუშაოების დასახელება ღირებულების მითითებით და გასაფორმებელი ქვეკონტრაქტ(ებ)ის ასლი.
- მიმწოდებელი ვალდებულია ქვეკონტრაქტორ(ებ)თან დადებული ხელშეკრულებ(ებ)ის ასლ(ებ)ი წარუდგინოს შემსყიდველს, აღნიშნული ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმებისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 16. შეტყობინება**

- ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, უნდა გაიგზავნოს წერილის, დეკემის, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (შემსყიდველის შემთხვევაში [zugdidismeria@gmail.com](mailto:zugdidismeria@gmail.com), მიმწოდებლის შემთხვევაში [pipibaqari@gmail.com](mailto:pipibaqari@gmail.com)) ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.
- შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## **მუხლი 17. სხვა პირობები**

1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.
2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რა დროსაც დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
3. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
4. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ერთ ელექტრონულ ფაილად.
6. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
7. მიმწოდებლის წინადადება, ხარჯთაღრიცხვა, სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, ტექნიკური დავალება, საპროექტო დოკუმენტაციის განმარტებითი ბარათი, სპეციფიკაციები, ნახაზები, პროექტი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

## **მუხლი 18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**

1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2020 წლის 2 თებერვლის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.

**დოკუმენტი მხარეთა მიერ დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.**

შ ე მ ს ყ ი დ ვ ე ლ ი

მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოფაჩხაფუს ადმინისტრაციულ ერთეულში, წმ. ნინოს ქუჩაზე, ხიდ-ბოგირის მოწყობის


ხარჯთაღრიცხვა

№	ნორმატივის ნომერი და შიფრი	სამუშაოებისა და დანახარჯების დასახელება	საზომი ერთეული	რაოდენობა		ღირებულება (ლარი)							
				ნორმატივი ერთეულზე	საპროექტო მონაცემებით	ხელფასი		მასალები		ტრანსპორტი		ჯამი	
						ერთეული	სულ	ერთეული	სულ	ერთეული	სულ		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
1		<b>დროებითი კალაპოტის მოსაწყობად არსებული ლით. მილის გვერდზე მიწის ამოღება</b>	<b>1000მ<sup>3</sup></b>		<b>0.006</b>								
		შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	34.00	0.20	6.0	1.22		0.00			-	1.22
		ექსკავატორი 0.25 მ <sup>3</sup>	მანქ/სთ	80.30	0.48		0.00		0.00	26.00		12.53	12.53
		სხვა მანქანები	ლარი	5.60	0.03		0.00		0.00	3.20		0.11	0.11
2		<b>ხიდ-ბოგირის მოწყობის ადგილზე მიწის ამოღება (არს. ლით. მილის დემონტაჟი)</b>	<b>1000მ<sup>3</sup></b>		<b>0.025</b>		0.00		0.00			-	0.00
		შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	34.0	1	6.0	5.10		0.00			-	5.10
		ექსკავატორი 0.25 მ <sup>3</sup>	მანქ/სთ	80.3	2.01		0.00		0.00	26.00		52.20	52.20
		სხვა მანქანები	ლარი	5.6	0.14		0.00		0.00	3.20		0.45	0.45
3		<b>ხიდის-ბოგირის მოწყობის ადგილზე ღორღის საფენის მოწყობა სისქით 10 სმ</b>	<b>მ<sup>3</sup></b>		<b>1.90</b>		0.00		0.00			-	0.00
		შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	0.89	1.69	8.0	13.53		0.00			-	13.53
		სხვა მანქანები	ლარი	0.37	0.703		0.00		0.00	3.20		2.25	2.25
		ღორღი ფრაქცია 20-40მმ	მ <sup>3</sup>	1.15	2.19		0.00	16.00	34.96			-	34.96
		ღორღის ტრანსპორტირება 15 კმ-დან	ტ	1.65	3.61		0.00		0.00	8.18		29.49	29.49
4		<b>ხიდ-ბოგირის კედლების, წყალშემკრები ფრთების და ფილის მოწყობა</b>	<b>100მ<sup>3</sup></b>		<b>0.1003</b>		0.00		0.00			-	0.00
		შრომითი დანახარჯი	კაც/სთ	844	85	8.0	677.23		0.00			-	677.23
		სხვა მანქანები	ლარი	110	11.0		0.00		0.00	3.2		35.31	35.31
		ბეტონი ბ 25 (ტუმბომომსახურებით)	მ <sup>3</sup>	101.5	10.2		0.00	140.00	1425.26			-	1425.26
		არმატურა ა-I	ტ	პრ.	0.099		0.00	1750.0	173.25			-	173.25
		არმატურა ა-III	ტ	პრ.	0.781		0.00	1550.0	1210.55			-	1210.55
		არმატურის ტრანსპორტირება 120 კმ.-დან	ტ		0.880		0.00		0.00	37.78		33.25	33.25
		შესაკრავი მავთული დ 1-1,6	კგ.	20	17.600		0.00	4.00	70.40			-	70.40
		საყალიბ ფარი	მ <sup>2</sup>	184	18.5		0.00	20.00	369.10			-	369.10
		ხის ფიცარი 40მმ. და მეტი	მ <sup>3</sup>	4.25	0.426		0.00	500.00	213.14			-	213.14
		სხვა მასალა	ლარი	46	4.6		0.00		0.00	3.2		14.76	14.76
5		<b>ნაპირთან დარჩენილი ადგილის შევსება ქვიშა-ხრეშოვანი ნარევით, ფენებად დატკეპვებით</b>	<b>1მ<sup>3</sup></b>		<b>5.40</b>		0.00		0.00			-	0.00





ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოფიხაფუს ადმინისტრაციულ ერთეულში,  
წმ. ნინოს ქუჩაზე, ხიდ-ბოგირის რეაბილიტაციის  
პროექტი



განმარტებითი ზარათი

დასაპროექტებელი ხიდ-ბოგირი მშენებლობა  
გათვალისწინებულია სოფ. ოფაჩხაფუში, წმ. ნინოს ქუჩაზე,  
მყირე ლელეზე.

საპროექტო ხიდ-ბოგირი ერთმანეთი მასიური მონოლითური რკ/ბ-  
ის მილოვან-ჩარჩოვანი კონსტრუქციას.



ხიდ-ბოგირის მშენებლობის პროცესში უნდა მოხდეს შემოვლითი  
გზით სარგებლობა.

ხიდ-ბოგირის უმნიშვნელო ზომებიდან გამომდინარე ( მალი 2 მ.  
სანათურში და სიმაღლე 1 მ.) მისი გაანგარიშება ხდება  
გამარტივებული წესით, კერძოდ ხიდის მალის ნაშენის საანგარიშო  
სქემად მიღებულია თავისუფლად დაყრდნობილი ფილა-კოჭი.

მალის ნაშენის მიხედვით კონსტრუქციად წარმოდგენილია რკ/ბ  
მონოლითური ფილა სისქით 25 სმ.  
ბეტონის კლასია B 25

ნახაზების ნუსხა

1. თავფურცელი
2. განმარტებითი ზარათი: ნახაზების ნუსხა
3. აერო გადაღება
- 4-5. გეგმა
6. ზომის ჭრილი
7. მოწყობითი უწყისი: კალენდარული გრაფიკა

დამკვეთი	ობიექტის მისამართი	ობიექტის სახელწოდება	დირექტორი	ბეჭა ძიმისჭარიშვილი		ფურცლის სახელწოდება	შ.პ.ს. დაბლო ზი L.T.D. Double B	ფორმატი	თარიღი
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მეჩია	ზუგდიდი, სოფ. ოფაჩხაფუ, წმ. ნინოს ქუჩა	ხიდ-ბოგირი	არქიტექტორი	ბეჭა ძიმისჭარიშვილი		განმარტებითი ზარათი: ნახაზების ნუსხა		A 4	14/04/2019
			არქიტექტორი	ბეჭა ქირია				ფურცელი №	
						2		16	

# აერო გადაღება




საპროექტო  
ხილ-ზოვირი

დამკვეთი	ობიექტის მისამართი	ობიექტის სახელწოდება	დირექტორი	ბეჭა ძიმისტარნიშვილი		ფურცლის სახელწოდება	შ.პ.ს. დამლ ზი L.T.D. Double B	ფორმატი	თარიღი
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მეჩია	ზუგდიდი, სოფ. ოფანსაფუ, წმ. ნინოს ქუჩა	ხილ-ზოვირი	არქიტექტორი	ბეჭა ძიმისტარნიშვილი		ფურცლის სახელწოდება		A 4	14/04/2019
			არქიტექტორი	ბეჭა ქირია		აერო გადაღება		ფურცელი №	3

# სიტყუარეური გეგმა

მასშტაბი 1:200






დამკვეთი	ობიექტის მისამართი	ობიექტის სახელწოდება	დირექტორი	შექმ. ძამისტრირიშვილი		ფურცლის სახელწოდება	შ.პ.ს. დაბლო ზი L.T.D. Double B	ფორმატი	თარიღი
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია	ზუგდიდი, სოფ. ოფანაფუ, წმ. ნინოს ქუჩა	ხიდ-ზოგორი	არქიტექტორი	შექმ. ძამისტრირიშვილი		სიტყუარეური გეგმა		A 4	14/04/2019
			არქიტექტორი	შექმ. ქირია				ფურცელი №	4

არსებული სიტყუარის ამსახველი ფოტო-მასალა




დამკვეთი	ობიექტის მისამართი	ობიექტის სახელწოდება	დირექტორი	ბეჭა ძიმისტარნიშვილი		ფურცლის სახელწოდება	შ.პ.ს. დაბლო ზი L.T.D. Double B	ფორმატი	თარიღი
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მეჩია	ზუგდიდი, სოფ. ოფანხაფუ, წმ. ნინოს ქუჩა	ხიდ-ზოგორი	არქიტექტორი	ბეჭა ძიმისტარნიშვილი		ფურცლის სახელწოდება		A 4	14/04/2019
			არქიტექტორი	ბეჭა ქირია		ფოტო-მასალა		ფურცელი №	16
						5			

### 3D ვიზუალიზაცია



დამკვეთი	ობიექტის მისამართი	ობიექტის სახელწოდება	დირექტორი	შექმ. ძიებისტარისშედეგი		ფურცლის სახელწოდება	შ.პ.ს. დაბლო ზი L.T.D. Double B	ფორმატი	თარიღი
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია	ზუგდიდი, სოფ. ოფანაძე, წმ. ნინოს ქუჩა	ხიდ-ზოგორი	არქიტექტორი	შექმ. ძიებისტარისშედეგი		ვიზუალიზაცია		A 4	14/04/2019
			არქიტექტორი	შექმ. ქირია				ფურცელი №	6


გუნ-გეგმა  
მასშტაბი 1:200



1.	X 740004.008 Y 4705701.592
2.	X 740006.107 Y 4705705.459
3.	X 740003.998 Y 4705706.604
4.	X 740001.899 Y 4705702.737

დამკვეთი	ობიექტის მისამართი	ობიექტის სახელწოდება	დირექტორი	ბუნების დაცვის დეპარტამენტი	ფურცლის სახელწოდება	შ.პ.ს. დაბლო ბი L.T.D. Double B	ფორმატი	თარიღი
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია	ზუგდიდი, სოფ. ოფანაძე, წმ. ნინოს ქუჩა	ხიდ-ბოგორი	არქიტექტორი	ბუნების დაცვის დეპარტამენტი	გუნ-გეგმა		A 4	14/04/2019
			არქიტექტორი	ბუნების დაცვის დეპარტამენტი			ფურცელი №	
				ბუნების დაცვის დეპარტამენტი			7	16


გვერდი  
მასშტაბი 1:50




დამკვეთი	ობიექტის მისამართი	ობიექტის სახელწოდება	დირექტორი	შექმ. ძიებისტარისშვილი		ფურცლის სახელწოდება	შ.პ.ს. დაბლო ში L.T.D. Double B	ფორმატი	თარიღი
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია	ზუგდიდი, სოფ. ოფანხაფუ, წმ. ნინოს ქუჩა	ხიდ-ზოგორი	არქიტექტორი	შექმ. ძიებისტარისშვილი		გვერდი		A 4	14/04/2019
			არქიტექტორი	შექმ. ქირია				ფურცელი №	8



სედი 1-1  
მასშტაბი 1:50




სედი 2-2  
მასშტაბი 1:50



დამკვეთი	ობიექტის მისამართი	ობიექტის სახელწოდება	დირექტორი	შექმ. ძიებისტარისშვილი		ფურცლის სახელწოდება	შ.პ.ს. დაბლო ზი L.T.D. Double B	ფორმატი	თარიღი
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია	ზუგდიდი, სოფ. ოფანხაფუ, წმ. ნინოს ქუჩა	ხიდ-ზოგირი	არქიტექტორი	შექმ. ძიებისტარისშვილი		სედი 1-1; სედი 2-2		A 4	14/04/2019
			არქიტექტორი	შექმ. ქირია				ფურცელი №	9








დამკვეთი	ობიექტის მისამართი	ობიექტის სახელწოდება	დირექტორი	შექმ. ძირისტარისშვილი		ფურცლის სახელწოდება	შ.პ.ს. დაბლო ზი L.T.D. Double B	ფორმატი	თარიღი
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია	ზუგდიდი, სოფ. ოფანსაფუ, წმ. ნინოს ქუჩა	ხიდ-ზოგორი	არქიტექტორი	შექმ. ძირისტარისშვილი		არმატურის სპეციფიკაცია		A 4	14/04/2019
			არქიტექტორი	შექმ. ქირია				ფურცელი №	12



არმატურის სპერეფიკაცია

ჭრილი გ-გ  
მასშტაბი 1:25



პოზიციის №	დასახელება	გრძ/შ	რაოდ.	სულ გრძ/შ	ერთ. ნონა	სულ ნონა		
1	არმატურა აIII ღ16	4.77	22	104.94	1.58	165.81		
2	არმატურა აIII ღ10	4.34	50	217.00	0.62	134.54		
3	არმატურა აI ღ8	0.3	308	92.40	0.40	36.96		
4	არმატურა აIII ღ12	4.69	22	103.18	0.89	91.83		
5	არმატურა აIII ღ8	0.5	44	22.00	0.395	8.69		
6	არმატურა აIII ღ8	4.34	20	86.80	0.395	34.29		
7	არმატურა აIII ღ18	2.37	22	52.14	2.00	104.28		
8	არმატურა აIII ღ14	3.49	22	76.78	1.21	92.90		
9	არმატურა აI ღ8	0.9	110	99.00	0.40	39.60		
10	არმატურა აIII ღ12	5.32	10	53.20	0.89	47.35		
11	არმატურა აIII ღ10	1.4	24	33.60	0.62	20.83		
12	არმატურა აIII ღ10	0.48	4	1.92	0.62	1.19		
13	არმატურა აIII ღ10	0.91	4	3.64	0.62	2.26		
14	არმატურა აIII ღ10	1.37	4	5.48	0.62	3.40		
15	არმატურა აIII ღ12	2.4	12	28.80	0.89	25.63		
16	არმატურა აI ღ8	1.65	26	42.90	0.40	17.16		
არმატურა აI ღ8						234.30	0.40	93.72
არმატურა აIII ღ8						108.80	0.395	42.98
არმატურა აIII ღ10						261.64	0.62	162.22
არმატურა აIII ღ12						185.18	0.89	164.81
არმატურა აIII ღ14						76.78	1.21	92.90
არმატურა აIII ღ16						104.94	1.58	165.81
არმატურა აIII ღ18						52.14	2.00	104.28
<b>სულ ჭაბი ა I +5% გადადგმა</b>								<b>98.41</b>
<b>სულ ჭაბი ა III +5% გადადგმა</b>								<b>769.64</b>
<b>ბეტონი 25 მარკა 350</b>								<b>10.03 მ<sup>3</sup></b>

დამკვეთი	ობიექტის მისამართი	ობიექტის სახელწოდება	დირექტორი	ბეჭა ძიმისტარნიშვილი		ფურცლის სახელწოდება	შ.პ.ს. დამლ ზი L.T.D. Double B	ფორმატი	თარიღი
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია	ზუგდიდი, სოფ. ოფანხაფუ, წმ. ნინოს ქუჩა	ხიდ-ზოგირი	არქიტექტორი	ბეჭა ძიმისტარნიშვილი		ჭრილი: არმატურის სპერეფიკაცია		A 4	14/04/2019
			არქიტექტორი	ბეჭა ქირია				ფურცელი №	
						14		16	

## მშენებლობის ორგანიზების განმარტებითი ბარათი

მშენებლობისთვის გამოყოფილი ტერიტორია მდებარეობს სამეგრელოს რეგიონში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოფაჩხაფუს ადმინისტრაციულ ერთეულში, წმ. ნინოს ქუჩაზე. საპროექტო მოედნის საანგარიშო სეისმურობაა 9 ბალი. ხიდის მშენებლობის სპეციფიკიდან გამომდინარე სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური პროცესი ითვალისწინებს ტექნოლოგიური ციკლების შემდეგ თანმიმდევრობას:

1. მოსამზადებელი სამუშაოები
2. წყლის ასაქცევის მოწყობის მიზნით არსებული მილის გვერდზე დროებით კალაპოტის მოწყობა
3. ხიდის რკ/ბ კონსტრუქციების ქვეშ ღორღის საფენის მოწყობა სისქით 10 სმ-ზე
4. ქარგილების მოწყობა რკ/ბ კონსტრუქციისთვის, არმატურის კარკასის მოწყობა
5. ხიდის რკ/ბ კონსტრუქციის დაბეტონება
6. ხიდთან მისასვლელი გზების სავალი ნაწილების ვაკისებისათვის ყრილების მოწყობა მდინარის ხრეშოვანი ბალასტით
7. ტერიტორიის მომანდაკება, ნიველირება

სამშენებლო -სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას სავალდებულოა უსაფროხებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვა, სახელდობრ:

- აიკრძალოს სამშენებლო მოედანზე უცხო პირთა შესვლა
- მუშა-მომსახურეთა პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქციები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოებისას უსაფროხებისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების შესახებ
- სამუშაო მოედანი უზრუნველყოფილ იქნას ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით
- მასალათა დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების გათვალისწინებით
- მთავარი ელექტრო კარადა უნდა იყოს მუდმივად დაკეტილ მდგომარეობაში, დაუშვებელია გაშიშვლებული სადენების გამოყენება.

სამშენებლო ნორმების დაცვა უნდა მოხდეს შესაბამისად სამშენებლო ნორმებისა და წესების სნწ-III-4-80 „უსაფროხების ტექნიკა მშენებლობაში“. მშენებლობა აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვითი ღონისძიებების გათვალისწინებით.

დამკვეთი	ობიექტის მისამართი	ობიექტის სახელწოდება	დირექტორი	ბექა ძიმისტარნიშვილი		ფურცლის სახელწოდება	შ.პ.ს. დაბლ ზი L.T.D. Double B	ფორმატი	თარიღი
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია	ზუგდიდი, სოფ. ოფაჩხაფუს, წმ. ნინოს ქუჩა	ხიდ-ზოგირი	არქიტექტორი	ბექა ძიმისტარნიშვილი		მშენებლობის ორგანიზება		A 4	14/04/2019
			არქიტექტორი	ბექა ქირია				ფურცელი №:	
							15	16	

